



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1703  
24/09/2018

ქალაქი ბათუმი

1703-05-4-201809240959



**ლევან ბერიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მივლინების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ლევან ბერიძის 2018 წლის 20 სექტემბრის №2709-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ლევან ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, მივლინებული იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, 2018 წლის 25 სექტემბერს, აპელანტ ჭიჭიკო ბერიძის სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა